პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი
8 სექტემბერი
1954 წელი
№ 72 (774)
ფასი 80 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ვიზრუნოთ მწვრთნელთა ახალი კადრების აღზრდისათვის

მაყურებელი გატაცებით უყურებს შეჯიბრებას, მოასპარეზეთა ყოველ მოძრაობას და უცებ აღტაცებული წამოიძახებს: „რა შესანიშნავია, ვინ არის მწვრთნელი?“ ეს არის პირველი კითხვა, რომელიც შეჯიბრებაზე დამსწრე ყველა მაყურებელს დაებადება.

საბჭოთა მწვრთნელი — რაოდენ საამაყოა ეს სახელი. შენ, შენს მაღალ ტექნიკას გადასცემ მომავალ თაობას, მოთმინებით, დამაჯერებლად უხსნი ახალგაზრდას ყოველ ილეთს, ყოველ მოძრაობას, გამოგყავს შეჯიბრებაზე, უღვივებ ბრძოლის, გამარჯვების მოპოვების წყურვილს და, რაც მთავარია, ამზადებ, აწრთობ მომავალ თაობას შრომისა და ჩვენი საყვარელი სამშობლოს დაცვისათვის.

როდესაც იაპონიაში თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობა მიმდინარეობდა ჩვენი რედაქციის ყოველდღიური სტუმარი იყო მწვრთნელი თიკანაძე. იგი მღელვარებით კითხულობდა მოსკოვიდან მიღებულ ყველა დეპეშას, განიცდიდა მისი აღზრდილის, ახლა უკვე მსოფლიო ჩემპიონის, ვახტანგ ბალავაძის ყოველ წარმატებას. და განა მარტო ბალავაძის?...

სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. გაგუა რამდენიმე წელია, რაც „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელთა გუნდს ავარჯიშებს. მან გამოიყენა მთელი თავისი მდიდარი საფეხბურთო გამოცდილება, მარტივი, გასაგები ენით უხსნის აღსაზრდელს ყოველი ილეთის თავისებურებას და მნიშვნელობას, გუნდში დაამყარა მტკიცე დისციპლინა, კავშირი გააბა აღსაზრდელთა მშობლებთან, საუბრობს მათთან, დაინტერესებულია როგორ სწავლობს ბავშვი სკოლაში, დაჰყავს გუნდის წევრები კინოში, თეატრებში. ასეთი გულისხმიერი მიდგომით მან მონოლითურ კოლექტივად შეადუღა გუნდი და წარმატებას წარმატებაზე აღწევს.

რატომღაც ტრადიციად იქცა: სპორტსმენი, როდესაც მწყობრიდან გამოდის, მწვრთნელობას კიდებს ხელს. ეს ზოგ შემთხვევაში კარგ შედეგს იძლევა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში კი სავალალოს. სპორტსმენს, რომელსაც კარგი გამოცდილება და მაღალი ტექნიკა აქვს, აკლია აღსაზრდელისადმი პედაგოგიური მიდგომა, რაც მთავარია და მისი უგულებელყოფას ხშირად მუშაობის მთლიან ჩაშლამდე მივყავართ. გაგუამ წარმატებას მიაღწია მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი მდიდარი გამოცდილება სწორი პედაგოგიური მიდგომით, თანდათანობით გადასცა ბავშვს, იზრუნა არა მარტო მის ტექნიკურ ზრდაზე, არამედ მისი, როგორც საბჭოთა პატრიოტის, ღირსეული მოქალაქის აღზრდაზე.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ წერილს, რომელიც შეეხება ფიზკულტურის ინსტიტუტდამთავრებულთა—ეშმაკურაშვილის და არუშანოვის არასპორტულ საქციელს. ეს ორივე სპორტსმენი მწვრთნელები არიან კრივში. საინტერესოა, რა უნდა ასწავლონ მათ ახალგაზრდებს, როდესაც თვითონ ისინი გაურბიან ვაჟკაცურ ორთაბრძოლას.

მძლეოსნობაში, განსაკუთრებით კი ტანვარჯიშში, ჩამორჩენა იმიტომ გვაქვს, რომ ჩვენი მწვრთნელები ზერელედ, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მინდობილ საქმეს, უკვე წლობით გატკეპნილი გზით მიდიან და არ ზრუნავენ წვრთნაში ახალი მეთოდების შემუშავებაზე. რაც მთავარია მწვრთნელთა უმრავლესობა რამდენიმე ადგილზე მუშაობს, სექციიდან სექციაში დარბის და საბოლოოდ მცირე ნაყოფს იძლევა. ამ „მფრინავ“ მწვრთნელებს სპორტის განვითარების სახელმწიფო საქმე სრულებით არ აინტერესებთ. ისინი მხოლოდ ფულისათვის იღვწიან.

ჩვენ გვინდა მწვრთნელი — კრისტალური ადამიანი, გულისხმიერი აღმზრდელი, მაღალი კულტურისა და განათლებული ადამიანი. მისი ყოველი მოქმედება მაგალითი უნდა იყოს აღსაზრდელისათვის. იგი უნდა იყოს თავისი საქმის პატრიოტი, დაუღალავად უნდა ზრუნავდეს საკუთარი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე. ამ აუცილებელი მოთხოვნების გარეშე ვერ მივაღწევთ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის საერთო აღმავლობას.

არიან მწვრთნელები, რომლებსაც სპეციალური განათლება არა აქვთ, აკლიათ პედაგოგიური ჩვევები, მაგრამ მუშაობისას დიდ მონდომებას იჩენენ. საჭიროა ასეთ მწვრთნელებს ყოველმხრივ დავეხმაროთ. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მათთვის უნდა მოაწყოს სემინარები, სადაც გააცნობენ მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებას, ახალს წვრთნაში და სხვ.

მწვრთნელთა ახალი კადრების აღზრდა, მათთან ყოველდღიური, გულისხმიერი მუშაობა, მათდამი მომთხოვნელობის გაზრდა ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა. შემჩნეულია, რომ რესპუბლიკის მწვრთნელთა აპარატს მიტმასნილია ბევრი შემთხვევითი ადამიანი, საჭიროა მათი მოცილება, აპარატის საფუძვლიანი გაწმენდა.

სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებზე. ისინი მწვრთნელებისაგან მოელიან მაღალტექნიკური, მტკიცე ნებისყოფის სპორტსმენებს. სპორტსმენებს, რომლებიც თავდადებით იბრძოლებენ საბჭოთა სპორტის დიდებისათვის.

☆

ავიამოდელისტთა საერთაშორისო შეჯიბრება

მოსკოვის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის აეროდრომზე რამდენიმე დღეს გაგრძელდა სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების ავიამოდელისტთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. პირველობისათვის ბრძოლამ თავიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. გათამაშებას ლიდერობდნენ როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე ჩეხი და უნგრელი სპორტსმენები.

შეჯიბრების ბოლო დღეს მეტი წარმატება მოიპოვეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა და გუნდური პირველობაც მათ ხვდათ წილად. მეორე ადგილზე გამოვიდნენ სსრ კავშირის, მესამეზე — უნგრეთის ავიამოდელისტები.

თანასწორთა შეხვედრა



ჩინეთისა და საქართველოს ფრენბურთელთა ამხანაგური შეხვედრა

◆

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა ახალგაზრდულ ნაკრებთან წინა ორ შეხვედრაში ორჯერვე დამარცხდნენ თბილისელები. ამიტომ 5 სექტემბერს ყველას აინტერესებდა შეძლებდა თუ არა საქართველოს ჩემპიონი — თბილისის „ნაუკა“ რევანშის აღებას.

მაყურებლები გულთბილი ტაშით შეხვდნენ კიროვის სახელობის პარკის ცენტრალურ მოედანზე სათამაშოდ გამოსულ ჩინეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „ნაუკის“ ქალთა გუნდებს.

პირველი ბურთი მოაწოდეს სტუმრებმა და მალე სადემონსტრაციო დაფაზე, იქ სადაც ეწერა „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა“ — აღიმართა ციფრი „1“. ჩინელი ფრენბურთელები ხელიდან არ უშვებენ ინიციატივას და რამდენიმე წუთის შემდეგ პირველ პარტიაში ანგარიში 4 : 0-მდე იზრდება.

სტუმრების მიერ მოწოდებული ბურთი კარგად მოიგერია სპორტის ოსტატმა გარიშვილმა და გაითამაშა სენიუკთან. ამ უკანასკნელმა მიაწოდა ტოკარევას, რომლის ძლიერმა ჩარტყმამ მიზანს მიაღწია. მალე თბილისელთა ლამაზი კომბინაცია ხაჩიკიანმა დააგვირგვინა. მაგრამ სტუმრებმა ჯერ შვიდი ბურთით გაუსწრეს თბილისელებს, ხოლო შემდეგ მოიგეს პარტია (15 : 10).

მეორე პარტიაში ინიციატივა თბილისელთა ხელშია. მალე ანგარიში 5:0-მდე იზრდება. ჩინელი სპორტსმენები დაიბნენ. წუთშესვენება მოითხოვეს. მოითათბირეს, მაგრამ ამაოდ. ჯერ ხაჩიკიანისა და მერე გარიშვილის დარტყმის შემდეგ ანგარიში 7:0-მდე ავიდა. ჩინელების ცდა — გარდატეხა შეეტანათ თამაშში, უშედეგო გამოდგა, მათ წააგეს პარტია — 7 : 15.

მესამე პარტია თავიდანვე ჩინელებმა წაიყვანეს, მაგრამ მალე ანგარიში გახდა 14:10 თბილისელთა სასარგებლოდ. მხოლოდ ერთი ქულა იყო საჭირო გამარჯვებისათვის და ისიც გარიშვილმა შემატა გუნდს. სტუმრებმა მეოთხე პარტიაც წააგეს (15 : 12). ანგარიშით 3 : 1 დამთავრდა ეს საინტერესო შეხვედრა.

მოედანზე შემოდიან ჩინეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და რესპუბლიკის ჩემპიონის — თბილისის „ლოკომოტივის“ ვაჟთა გუნდები.

პირველ პარტიაში ინიციატივა ხელთ იგდეს ჩინელებმა და მოიგეს იგი ანგარიშით 15:8. ლოკომოტიველების ყოველგვარი ცდა ამაო იყო, რადგან სტუმრები შესანიშნავად თამაშობდნენ, დაცვასა და თავდასხმაში. ისინი ადვილად იგერიებდნენ ტარახჩიანის, ტიშჩენკოს, კაპლიევის, ყიფიანისა და სხვათა დარტყმებს.

არასახარბიელო შედეგით დამთავრდა ჩინელებისათვის მეორე პარტია. თუ პირველ პარტიაში თბილისელები თამაშს აგებდნენ ერთ რომელიმე თავდამსხმელზე, მეორე პარტიაში შეცვალეს ტაქტიკა და თავდასხმაში ერთდროულად ებმებოდა 3 სპორტსმენი. მეორე პარტია მოიგო „ლოკომოტივმა“. დიდი ანგარიშით — 15:5 მოიგეს თბილისელებმა მესამე პარტიაც. მეოთხე პარტიაში გაიმარჯვეს სტუმრებმა. შეხვედრის ანგარიში გახდა 2:2. ამ გამარჯვებამ ჩინელებს ძალა შემატა და გადამწყვეტი, მეხუთე პარტიაც შეტევით დაიწყეს, მალე ერთგვარ წარმატებასაც მიაღწიეს, მაგრამ სძლია გამოცდილებამ და თბილისელებმა მოუგეს მოწინააღმდეგეს 3:2.

ო. გელაშვილი

• • •

სურათზე: (მარცხნივ) გუნდის მწვრთნელი წუთშესვენების დროს ესაუბრება ფრენბურთელებს. მარჯვნივ ვაჟთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

იტალია

ტურინში დამთავრდა ევროპის პირველობა ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში.

წყალში ხტომაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ტრამპლინიდან ხტომაში ევროპის ჩემპიონი გახდა რომან ბრენერი, ხოლო კოშკურიდან ხტომაში — ტატიანა კარაკაშიანცი.

ბრასის სტილით 200 მეტრი ყველაზე სწრაფად გაცურა და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა დასავლეთ გერმანიის სპორტსმენმა ქალმა ხაპემ. ვაჟთა შორის 100 მეტრ ზურგზე ცურვაში ფინიშთან პირველი იყო ფრანგი ბოცონი. ვაჟთა შორის 200 მეტრზე ბრასის სტილით ყველას აჯობა ბოდინგერმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

მეტად საინტერესო გამოდგა თავისუფალი სტილით 1.500 მეტრზე გაცურვა. მასში მონაწილეობდნენ ევროპის უძლიერესი სპორტსმენები—უნგრელები ჩორდაში და შუსტერი. ფრანგი ბერნარდო, ლემანი (დასავლეთ გერმანია) და ლავრინენკო (სსრ კავშირი). შეჯიბრებაში პირველი ადგილი და ევროპის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ჩორდაშმა. მეორე იყო შუსტერი, მესამე — ლავრინენკო.

წყალბურთში შეჯიბრების შედეგები ასეთია: 1. უნგრეთი. 2. იუგოსლავია. 3. იტალია. 4. ჰოლანდია. 5. სსრ კავშირი.

ჰოლანდია

4 სექტემბერს ამსტერდამში დაიწყო XI საჭადრაკო ოლიმპიადა — მსოფლიო გუნდური პირველობა ჭადრაკში. მონაწილე 26 სახელმწიფოს გუნდი დაყოფილია ოთხ ნახევარფინალურ ჯგუფად. სამ-სამი გამარჯვებული გუნდი დაიშვება ფინალში. მსოფლიო ჩემპიონის საპატიო სახელისათვის ერთმანეთს შეებრძოლება 12 გუნდი. დანარჩენი გუნდები გაითამაშებენ 13-26 ადგილებს.

საბჭოთა კავშირის გუნდი კენჭისყრის შედეგად მოხვდა პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში, საბერძნეთის, ჰოლანდიის, ისლანდიის, ფინეთისა და ავსტრიის გუნდებთან ერთად.

პირველ ტურში საბჭოთა გროსმაისტერები შეხვდნენ ფინელ მოჭადრაკეებს. პირველ დაფაზე მსოფლიო ჩემპიონი, გროსმაისტერი ბოტვინიკი ეთამაშა ოსტატ სალოს. საბჭოთა გროსმაისტერმა ძლიერად გათამაშებული დებიუტით პოზიციური უპირატესობა მოიპოვა და უკვე 30-ე სვლაზე ფინელი ოსტატი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, დაკარგა ლაზიერი და დანებდა. გროსმაისტერმა კერესმა კატაისტოსთან პარტიაში უკეთესი ენდშპილი მიიღო შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ფინელი მოჭადრაკე იძულებული გახდა 34-ე სვლაზე დანებებულიყო. ვესტერინენ-სმისლოვისა და ფრედ-კოტოვის პარტიები ჩვენი მოჭადრაკეთათვის უკეთეს მდგომარეობაში გადაიდო. მეორე დღეს, დამთავრებისას გაიმარჯვეს საბჭოთა გუნდის წევრებმა.

მეორე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ საბერძნეთის ოსტატებს და მოიგეს ყველა შეხვედრა. ბოტვინიკმა მოუგო პარლიაროსს, ბრონშტეინმა — ანაგნოსტოუს, გელერმა — პაპაპავლოუს და კერესმა — პანაგოპულოსს.

ამრიგად, ორი მატჩის შემდეგ ანგარიშია 8 : 0 საბჭოთა გროსმაისტერების სასარგებლოდ.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

აღვკვეთოთ სახელმწიფო თანხების უსისტემოდ ფლანგვა

ამას წინათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა თავის მორიგ სხდომაზე მოისმინა საკითხი: „საზოგადოება „ისკრის“ მწვრთნელთა მუშაობისა და მათთვის ხელფასის ანაზღაურების შესახებ“.

კომიტეტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ გამოარკვია, რომ „ისკრაში“ მუშაობს 45-მდე მწვრთნელი. გასული ექვსი თვის განმავლობაში კი მომზადებულია ერთი ოსტატი, 5 პირველი, 15 მეორე, 37 მესამეთანრიგოსანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. აქ მოყვანილი ციფრები იმას მოწმობენ, რომ „ისკრის“ ხელმძღვანელობა არადამაკმაყოფილებელ კონტროლს უწევს მწვრთნელთა მუშაობას, ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე თვითდინებაზეა მიშვებული. მწვრთნელთა საბჭო არ იკრიბება, არასოდეს არ განუზოგადებიათ ცალკეული მოწინავე მწვრთნელების გამოცდილება. გარდა იმისა, რომ დაბალ დონეზე დგას მწვრთნელთა საქმიანობა, მეტად არაწესიერ ფარგლებში მიმდინარეობს მათზე ხელფასის გაცემა. ზოგიერთმა მწვრთნელმა ისარგებლა რა „ისკრის“ ხელმძღვანელობის ასეთი ზერელე მუშაობით, ბოროტმოქმედების გზასაც დაადგა.

მოჭადრაკე ქალის ქ. გოგიავას მწვრთნელმა ლ. გერშკოვიჩმა, რომელსაც მოჭადრაკის მომზადებისათვის ხელფასს რესპუბლიკური კომიტეტი უნაზღაურებდა, „ისკრაშიც“ მიიღო ხელფასი. აეროპორტის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე ა. იანდალა ყოველთვიურად 288 მანეთს იღებდა საერთო ფიზიკური მომზადების სექციის ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ სინამდვილეში არავითარ საქმიანობას არ ეწეოდა. აკრობატები—ნაზაროვი, ვართანოვი და ოგანეზოვი საკუთარი სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის ესწრებოდნენ აკრობატთა სექციის მუშაობას და ხელფასს იღებდნენ როგორც მწვრთნელები. ზოგი უფრო შორს წავიდა. ინსტრუქტორმა კალანდაძემ, რომელსაც შეთავსებული ჰქონდა მოლარის თანამდებობა, საკანცელარიო ხარჯებისათვის დახარჯა (!) 1.220 მან. მაგრამ ანგარიშები ვერ წარმოადგინა. მაშინ „ისკრის“ თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებლის კინკაძის მითითებით, კალანდაძე გააფორმეს საერთო ფიზიკური მომზადების სექციის ხელმძღვანელად და აქ აღებული თანხა სალაროში შეატანინეს.

კომიტეტის კომისიამ გამოარკვია, რომ „ისკრის“ საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე თ. ქორქოლიანი ხელმძღვანელობდა მოთხილამურეთა შეკრებას ბაკურიანში. იგი აგრეთვე იღებდა ხელფასს მოთხილამურეთა მომზადებისათვის, რაც რასაკვირველია, სიმართლეს არ შეეფერება. არასწორად აქვთ მიღებული ხელფასი ხოჯაევს, ხოშტარიას, მდინარაძეს.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები იმას მოწმობენ, რომ „ისკრის“ ხელმძღვანელობამ მიივიწყა თავისი უპირველესი მოვალეობა, ზერელე, უპასუხისმგებლო მუშაობით სურდა საქმის წარმართვა. თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელმა კინკაძემ კომიტეტის სხდომაზე თავი მოიკატუნა და საქმის უახლოეს დროში გამოსწორება აღუთქვა.

კომიტეტმა დასახა ღონისძიებები, რომლებიც მოაგვარებს „ისკრის“ მეურნეობას, თბილისის კომიტეტს დაევალა მწვრთნელთა ხელახალი აღრიცხვა და მათი რიგების უღირსი ელემენტებისაგან გაწმენდა.

კომიტეტმა მოჭადრაკე გერშკოვიჩს (იგი დემონსტრაციულად არ გამოცხადდა კომიტეტის სხდომაზე) აუკრძალა მწვრთნელად მუშაობა და მისი საქმე საბოლოო გამორკვევისათვის გადასცა სისხლის სამართლის ორგანოებს. სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის სუსტი კონტროლისათვის სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგეს აბზიანიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელს კინკაძეს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. „ისკრის“ თბილისის საბჭოს თავმჯდომარის (რომელიც კომიტეტზე არ გამოცხადდა) თ. ქორქოლიანის საკითხი ცალკე იქნება განხილული.

კომიტეტმა დაავალა „ისკრის“ საბჭოს, მწვრთნელებზე უკანონოთ გაცემული ყველა თანხა დააბრუნებინოს ა/წ 15 სექტემბრამდე.

• • •

ამავე კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა თერჯოლის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მუშაობის საკითხი. კომიტეტის თავმჯდომარე ო. კახიძე საბჭოთა ფიზკულტურული მუშაკისათვის შეუფერებელ გზას დაადგა, ჩაეფლო სიზარმაცისა და უქნარობის ჭაობში. იგი ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების ყალბი უწყისების შედგენით ცდილობდა რესპუბლიკური კომიტეტის თვალის ახვევას. მიმდინარე წელს მხოლოდ ფეხბურთში ჩაატარა შეჯიბრება. დანარჩენი სპორტის სახეობები თერჯოლაში მივიწყებულია.

ო. კახიძემ კომიტეტის სხდომაზე არ მიიღო ამხანაგების სამართლიანი შენიშვნები და შეეცადა მის მიერ ჩადენილი სიყალბის დაცვას და რაიონში ჩაშლილი მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის მიჩქმალვას.

ასეთი არაკეთილსინდისიერი საქციელისათვის კომიტეტმა ო. კახიძე მოხსნა თანამდებობიდან და დასახა მთელი რიგი ღონისძიებები რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გამოცოცხლებისათვის.

ჩააბარეს სათანრიგო ნორმები

სოფლის მეურნეობის რესპუბლიკური კავშირის კიკეთის პიონერთა ბანაკში ზაფხულის განმავლობაში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ტანვარჯიშული სექცია, რომელშიც გაერთიანებული იყო 57 ბავშვი. დამსვენებელთა შორის თანრიგი ჰქონდა 29-ს. მათგან თანრიგი აიმაღლა 16-მა პიონერმა, 5-მა მიიღო მესამე თანრიგი. ღია ცის ქვეშ სისტემატურმა მეცადინეობამ ნორჩ ტანმოვარჯიშეებს ბევრი რამ შესძინა. გარდა სპეციალური მეცადინეობისა ტანვარჯიშში, დიდი ყურადღება ექცეოდა საერთო ფიზიკურ მომზადებას, კროსებს, ტურისტულ ლაშქრობებს, ხტომებსა და სხვ.

ციალა მამათელაშვილს მეორე თანრიგი ჰქონდა, კიკეთში კი ბანაკის პირველობაზე ჩატარებულ ვარჯიშში მან პირველ თანრიგზე ჩააბარა. ერთი საფეხურით აიმაღლეს თანრიგი აგრეთვე ლუიზა ჭურაძემ, თინა ჯანვერაშვილმა, ეთერ შენგელიამ. ჭაბუკთა შორის სპორტული კვალიფიკაცია აიმაღლეს გ. კოპალეიშვილმა, ჯ. გოგორიშვილმა, გ. სალარაძემ, ა. კოპაძემ, ლ. მალალაშვილმა, მ. ჭურაძემ და სხვ.

ბანაკში გათვალისწინებული იყო სამი ჯგუფის მუშაობა, მაგრამ მსურველთა რიცხვი მეტი აღმოჩნდა, ამიტომ დამატებით ჯგუფებთან მეცადინეობას აწარმოებდნენ თანრიგოსანი სპორტსმენები. ჩვენთან ხშირად ტარდებოდა შეჯიბრებები და სპორტული გამოსვლები, გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთები და ფოტოსტენდები, მოეწყო ტანვარჯიშული კუთხე. ნორჩი ტანმოვარჯიშეები თვითონ უვლიდნენ ტანვარჯიშულ ბაქანს და აქტიურად მონაწილეობდნენ დილის გამამხნევებელი ვარჯიშების ჩატარებაში.

ვ. ალთუნაშვილი,
კიკეთის სოფლის მეურნეობის რესპუბლიკური კავშირის პიონერთა ბანაკის მწვრთნელი ტანვარჯიშში.

შევინარჩუნოთ, გავზარდოთ მოპოვებული წარმატებანი

მოსწავლეთა პირველი საკავშირო სპარტაკიადის შედეგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა პირველ საკავშირო სპარტაკიადაში, როგორც ცნობილია, საერთო გუნდური პირველი ადგილი უკრაინის მოსწავლეთა ნაკრებმა კოლექტივმა დაიკავა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვი, ლენინგრადი, რსფსრ, საქართველო, ესტონეთი, ბელორუსია, შრომითი რეზერვების სასწავლებლების ნაკრები გუნდი და ა. შ. ბოლო მეოცე ადგილი წილად ხვდათ კარელია ფინეთის წარმომადგენლებს.

სპარტაკიადის გახსნის პირველი დღეებიდანვე ლენინგრადის სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე გაიმართა დაძაბული, საინტერესო ბრძოლა პირველი ადგილის მოპოვებისათვის. მძლეოსნობაში თავიდანვე დაწინაურდნენ ლენინგრადის ნორჩი სპორტსმენები და 45.441 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია ლენინგრადელი მძლეოსნის, სიმაღლეზე მხტომელის — ბერხინის მიღწევა — 195 სმ, რაც ჭაბუკების ახალი საკავშირო რეკორდია. ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ მძლეოსნებთაგან აღსანიშნავია გოგონებს შორის შუბის ტყორცნაში გამარჯვებული ვ. ქიტინოვას შედეგი — 36 მ 48 სმ. ჭოკით ხტომაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა მჭედლიშვილმა, რომლის შედეგი 3,60 მეტრს უდრის. საქართველოს ნორჩ მძლეოსანთა მიერ დამყარებულ იქნა სამი ახალი რეკორდი (ჩხეიძე — სამხტომში—13,90 მეტრი, კრუგლი—ხუთჭიდი—2.500 ქულა და პლოტნიკოვი — 200 მეტრზე რბენა — 23,2 წამი). კარგი მაჩვენებლებით აღინიშნა ნორჩი მძლეოსნების ფაროლდის, სუვერნიოვას, მირზიაშვილის, ნარმანის, სანიევასა და სხვათა მიღწევები. ჩვენი ნორჩი მძლეოსნებიდან დაბალი სპორტული მაჩვენებლები აჩვენეს ვაჟებმა 110 მ თარჯრბენში, სიგრძეზე ხტომაში, ბირთვის კვრაში და გოგონებმა 80 მ თარჯრბენში. მაღალი ოსტატობა გამოავლინა ტანვარჯიშში ქუთაისელმა სოკოლოვამ (ოსტატთა პროგრამა), რომელმაც დააგროვა რა 100,1 ქულა, სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა და საერთო მეორე ადგილი დაიკავა. პირველ ადგიზე გოგონებს შორის (ოსტატთა პროგრამა) 100,3 ქულით გამოვიდა ლენინგრადელი ივანოვა; მაღალი მიღწევებით აღინიშნა ტანმოვარჯიშე გოგონების — ჩარგეიშვილის, სკურჩინინას, ზაიცევას, ხაჩიძისა და კომისარენკოს გამოსვლები. ძლიერად ჩაატარეს შეჯიბრება ჭაბუკთა გუნდის წევრებმა ვარდიაშვილმა, ნონიკაშვილმა, პერტენავამ, შაფრანმა და ბალიაურმა. ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა გუნდი პირველ ადგილზე გამოვიდა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ჯილდო დაიმსახურა. ცალკეულ იარაღებზე პირველ ადგილზე გამოვიდნენ გოგონებს შორის რგოლებზე—ჩარგეიშვილი, ვაჟებს შორის ძელზე — პერტენავა და რგოლებზე — შაფრანი. წარმატება მოიპოვეს აგრეთვე საქართველოს ნორჩმა მოცურავეებმა, რომელთა მიერ სპარტაკიადის მსვლელობის პერიოდში დამყარებულ იქნა რესპუბლიკის 5 რეკორდი.

რ. პერტენავა

★

ველოსპორტში 25 კმ გზატკეცილზე გოგონათა შორის გამარჯვება ხვდა წილად თბილისელ მზია დიასამიძეს (მწვრთნელი ხაბურზანია). მან დისტანცია გაიარა 45.25,0 წამში. მას 0,2 წამით ჩამორჩა ლენინგრადელი მურატოვა; ფინიშთან 200 მეტრის დაშორებით ავარიის გამო დაბალი შედეგები აჩვენეს 50 კმ რბოლაში რესპუბლიკის ჭაბუკთა გუნდის წევრებმა. სპორტის ამ სახეობაში გოგონებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა ბელორუსიამ, ჭაბუკებში — „შრომითი რეზერვებმა“.

რესპუბლიკაში მოსწავლე ახალგაზრდობას შორის გასულ წლებში სასროლო სპორტი არ იყო სათანადოდ დანერგილი, რამაც განაპირობა ნაკრები გუნდის დაბალი სპორტული შედეგიც. მომავალი შეჯიბრებისათვის საჭირო იქნება განათლებისა და დოსააფის ორგანოებმა აქედანვე იზრუნონ მოსწავლეთა შორის სროლის პოპულარიზაციისა და სპორტ-ტექნიკური მაჩვენებლების ამაღლებისათვის.

როგორც ყოველთვის, სპორტული თამაშობანი და კერძოდ კალათბურთი და ფრენბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ასე იყო ამ სპარტაკიადაზეც. ეს გასაგებიცაა. გუნდების კარგმა ტექნიკურმა და ფიზიკურმა მომზადებამ ლენინგრადელ მაყურებელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. კალათბურთში მძაფრი ბრძოლის შემდეგ ვაჟთა შორის ფინალურ ჯგუფში მოხვდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ლენინგრადისა და საქართველოს გუნდები, ხოლო გოგონებს შორის — ესტონეთის, რსფსრ-ს, უკრაინისა და საქართველოს გუნდები. ჩვენი გოგონების გუნდი მეოთხე ადგილზე გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ იგი (მწვრთნელები ბაბახანიდი, გეგელაშვილი) თავის შემადგენლობით ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელებისაგან შედგებოდა, რის გამოც გუნდის მიერ მოპოვებული ადგილი დამაკმაყოფილებელია. ფინალურ შეჯიბრებაში საქართველოს ჭაბუკთა გუნდმა პირველსავე შეხვედრაში წააგო მატჩი უკრაინასთან (46:52), ხოლო მეორე დღეს ლენინგრადის გუნდთან—43:46, რსფსრ-ს გუნდთან მოგებით ეს კოლექტივი მესამე ადგილზე გამოვიდა. პირველი ადგილები როგორც გოგონებს, ისე ვაჟთა შორის წილად ხვდათ უკრაინის სპორტსმენებს.

კარგი სპორტული მომზადება გამოავლინეს რესპუბლიკის ნორჩმა ფრენბურთელებმა, განსაკუთრებით — ვაჟებმა. ამ უკანასკნელებს, შეიძლება ითქვას, რომ სპარტაკიადაზე „ბედი“ არ სწყალობდათ. ისინი ჯერ კიდევ ქვეჯგუფში შეჯიბრების პირველსავე დღე[illegible] მოსკოვის ძლიერ გუნდს შეხვდნენ, პირველი პარტი[illegible] მოგების მიუხედავად, წააგეს თამაში 1:3-ზე. შემდეგ მათ მოიგეს მომდევნო შვიდი შეხვედრა და ერთი წაგებით ვერ მოხვდნენ ფინალურ ჯგუფში. გოგონების გუნდი მე-7 ადგილით დაკმაყოფილდა. პირველი ადგილები ფრენბურთში წილად ხვდათ მოსკოვის გოგონებს და ლენინგრადის ჭაბუკების ძლიერ კოლექტივებს.

ასეთი სპორტ-ტექნიკური მაჩვენებლებით ხასიათდება რესპუბლიკის ნაკრები გუნდების გამოსვლა მოსწავლეთა პირველ საკავშირო სპარტაკიადაზე. ეს შედეგები საშუალებას გვაძლევს ანალიზი გაუკეთოთ სპორტის სხვადასხვა სახეობათა დანერგვის მდგომარეობას მოსწავლე ახალგაზრდობას შორის და დროულად, ახალი სასწავლო წლიდანვე მივიღოთ ზომები, რათა მომავალ საკავშირო შეჯიბრებებსა და სპარტაკიადებზე მონაწილეობისათვის უკეთ მომზადებული გუნდები გამოვიყვანოთ. განსაკუთრებით ბევრია გასაკეთებელი ამ მხრივ მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ცურვაში, სროლაში. ამ სახეობების განვითარებისათვის არ არის ფართოდ გა[illegible]ყენებული რესპუბლიკის მდიდარი შესაძლებლობანი. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, გორში, სოხუმში, ბათუმში, სტალინირში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. საჭიროა მთელი გულისყურით მოვეკიდოთ მოსწავლეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეს. სამშობლოს აღვუზარდოთ ფიზიკურად გამოწრთობილი ახალგაზრდები. ეს რესპუბლიკის განათლების, კომკავშირისა და ფიზკულტურული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა.

სურათებზე: (მარცხნიდან) ტანმოვარჯიშე ა. ჩარგეიშვილი, ველოსიპედისტი მ. დიასამიძე და ტანმოვარჯიშე ე. ხოკოლოვა.

არცხვენენ საბჭოთა სპორტსმენის სახელს

ხშირად მომხდარა ასე: შეჯიბრებაში სპორტსმენს მიუღია ტრავმა, მაგრამ აზარტში შესულს ერთი წამითაც არ უფიქრია ბრძოლის შეწყვეტა. პირიქით, სწორედ ამ წუთში უგრძვნია მას ძალთა არაჩვეულებრივი მოზღვავება და რწმენა იმისა, რომ გამარჯვება ახლოა. მაგრამ ასეთ დროს საქმეში ჩარეულა ექიმი, რომელსაც სპორტსმენის ჯანმრთელობისათვის თვალყურის დევნება ევალება, გულდასმით გასინჯვის შემდეგ აუკრძალავს მას ბრძოლის გაგრძელება. ამის უფლება ექიმს, როგორც სპორტული შეჯიბრების უცვლელ თანამგზავრს, აქვს.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ტრავმა არ არის ძალზე სახიფათო. თუმცა ექიმს შეუძლია სპორტსმენის მოხსნა შეჯიბრებიდან. აქ სიტყვა უკვე მებრძოლის მხარესაა. თუ იგი მორალურად ძლიერია, თუ მას შესტკივა გული თავის კოლექტივზე, და რაც მთავარია, თუ მისთვის უცხოა შიშის გრძნობა, ბრძოლა გრძელდება. ასეთი ფაქტები ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა ცხოვრებაში მრავალია და ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება ერთი წუთით შევაჩეროთ ერთ-ერთ მათგანზე.

ამას წინათ რიგაში მოეწყო „სპარტაკის" სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადა. საქართველოს გუნდის მონაწილეთა შორის იყო ახალგაზრდა მოკრივე, სპორტის ოსტატი ლ. ანდღულაძე. ერთ-ერთ ბრძოლაში ფიზიკურად ძლიერ ამიროვთან ანდღულაძეს ორივე წარბი დაუზიანდა. ასეთ შემთხვევაში, ექიმი ვალდებულია სპორტსმენი მოხსნას შეჯიბრებიდან. ბრძოლის დამთავრების შემდეგ ექიმმა გულმოდგინედ გასინჯა ანდღულაძე და გადაწყვიტა აუკრძალოს მას შემდგომი გამოსვლა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს გუნდს მეტად საჭირო ქულები დაეკარგა.

შეგნებული სპორტსმენის თხოვნას, რომელიც თავის თავში გრძნობდა ძალას და დარწმუნებული იყო, რომ შეძლებდა ჩემპიონატის დამთავრებას, ექიმმა ანგარიში გაუწია. მხოლოდ ერთი პირობით: თუ შემდგომ შეხვედრებში ანდღულაძეს ოდნავ მოეხსნებოდა წარბზე დაფარებული „პლასტირი", იგი იმავე წუთში დაანებებდა თავს ბრძოლას.

მომდევნო შეხვედრები ანდღულაძისათვის ორმაგად ძნელი გამოდგა, ხოლო მოწინააღმდეგეებისათვის—ადვილი. ახლა უკვე ყოველი მეტოქე ცდილობდა მისთვის დარტყმა მიეყენებინა „აქილევსის ქუსლში" — დაზიანებულ წარბში. მიუხედავად ამისა შეუპოვარმა და მტკიცე ნებისყოფიანმა მოკრივემ, ვაჟკაცობის შესანიშნავი მაგალითი გამოამჟღავნა და არა თუ მოიგო ყველა დარჩენილი შეხვედრა, „სპარტაკის" ჩემპიონის სახელიც დაიმსახურა.

ეს ფაქტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთეული არაა ჩვენი სპორტსმენების ცხოვრებაში, ამიტომ მისი მოყვანა აქ ზედმეტიც იქნებოდა, რომ ამავე შეჯიბრებაში ანდღულაძის ამხანაგების მიერ ადგილი არ ჰქონოდა დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოქმედებას.

ამავე გუნდის წევრი გ. არუშანოვი „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია. იგი სამართლიანად ატარებდა გამოცდილი მოკრივის სახელს. ამასთან არუშანოვმა მიიღო უმაღლესი ფიზკულტურული განათლება და დღეს ახალგაზრდა თაობის აღზრდის ნაყოფიერ საქმესაც ემსახურება. არუშანოვი ამ შეჯიბრებაზე უნდა შეხვედროდა ძლიერ მოწინააღმდეგეს ერშოვს. ამ გვარის გაგონებამ იგი იმდენად შეაშინა, რომ შეხვედრაზე სრულებით არ გამოცხადდა. ამაოდ ელოდნენ მას რინგზე მსაჯთა კოლეგიის წევრები, მაყურებლები და თვით ერშოვიც. მას სამარცხვინო დამარცხება მიესაჯა და გადაყვანილ იქნა ბოლო ადგილზე.

რამ გამოიწვია არუშანოვში ეს საქციელი? ხომ იცოდა მან რომ ასეთი საქციელით იგი ზიანს მოუტანდა არა მარტო მოკრივეთა გუნდის საერთო მაჩვენებელს, არამედ მთელი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის შედეგს? იცოდა, მაგრამ ვერ გადალახა სიმხდალე და ბრძოლას სამარცხვინოდ გაექცა. იქნება შემდეგ შეიგნო თავისი დანაშაული „ბრძოლის ველიდან" გაქცეულმა სპორტსმენმა? სრულებითაც არა. პირიქით, იგი ყოველნაირად ცდილობდა თავის გამართლებას.

არუშანოვს ტ. ემმაკურაშვილმა და ს. ლაბაძემაც მიბაძეს. ამათში პირველმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ „პედაგოგიური" მოღვაწეობა დაიწყო. იგი მოკრივეთა ახალგაზრდა თაობას ზრდის, მაგრამ როგორი იქნება მისი მუშაობის შედეგი, როდესაც მან სიმხდალის შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენა ამ შეჯიბრებაზე. ერთ-ერთ შეხვედრაში ემმაკურაშვილი უმნიშვნელო დარტყმამ „ნოკაუტში" ჩააგდო. ამ სიმულაციამ სპორტის მოყვარულნი იმდენად აღაშფოთა, რომ დამარცხებული მოკრივე გასახდელამდე სტვენით მიაცილეს. უფროსი ამხანაგის მაგალითს მიბაძა ახალგაზრდა ნიჭიერმა მოკრივემ ს. ლაბაძემაც და „ნოკაუტის" იმიტაციით საკმაოდ ულამაზოდ დაუწვა მოწინააღმდეგეს.

იბადება კითხვა, რა უნდა ასწავლონ თავიანთ აღსაზრდელებს არუშანოვმა და ემმაკურაშვილმა, რა მაგალითი უნდა აიღონ მათგან ნორჩმა მოკრივეებმა? ნუთუ ისინი ფიქრობენ, რომ ეს არასპორტული საქციელი მათთვის უშედეგოდ ჩაივლის? ეშანოვიც, ემმაკურაშვილიც და ლაბაძეც დასჯის ღირსი არიან. მათ არავითარი ანგარიში არ გაუწიეს კოლექტივს, ამხანაგების და რესპუბლიკის გუნდის საერთო ინტერესებს. ისინი ლაჩრულად გაექცნენ რინგზე შეხვედრებს და ამით სამარცხვინო ფურცელი ჩაწერეს თავიანთ სპორტულ ბიოგრაფიაში.

არუშანოვი და ემმაკურაშვილი ვერ აღზრდიან ისეთ ახალგაზრდებს, როგორსაც ჩვენი საბჭოთა სპორტი მოითხოვს. მათი მაგალითი ახალგაზრდებს ზიანის მეტს კარგს ვერაფერს ვერ მოუტანს. საბჭოთა სპორტს არ ესაჭიროება მორალურად სუსტი სპორტსმენები და არც მწვრთნელები.

გ. ჯანაშია,
მწვრთნელი კრივში.

ნორჩი ტურისტები

ბეთანიის უდედმამო ბავშვთა პიონერთა ბანაკის ნორჩმა დამსვენებლებმა მოაწყეს ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ბეთანია-კიკეთი-ასურეთი-მარაბდა - ვაშლოვანი-კოჯორი-ბეთანია. ლაშქრობა სამ დღეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში პიონერები გაეცნენ აღნიშნული სოფლების მეურნეობას, ისტორიულ ძეგლებსა და სხვ.

ჩ. მეტრეველი

ქართულ ჭიდაობაში გამარჯვებულნი

სამხრეთ ოსეთის პირად-გუნდურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში მონაწილეობდნენ ზნაურის, სტალინირის, ლენინგორის რაიონებისა და ქალაქ სტალინირის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები.

გუნდური გამარჯვება მოიპოვეს ზნაურის რაიონის მოჭიდავეებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით სამხრეთ ოსეთის ჩემპიონები გახდნენ გ. გიგაური (ლენინგორის რაიონი), ნ. ტრანკაძე (ზნაურის რაიონი), გ. ქრისტესაშვილი (სტალინირის რაიონი), ი. კორაევი (ლენინგორის რაიონი), ზ. თადტაევი (ქ. სტალინირი), მ. გაგლოევი, მ. მაჭარაშვილი და გ. ბესლაევი (ზნაურის რაიონი).

დ. კასრაძე

სსრ კავშირის პირველობა მოტოსპორტში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტალინში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა მოტოსპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები.

30-ზე მეტი სპორტსმენი გამოდიოდა 125 კუბური სანტიმეტრის მოტოციკლებით შეჯიბრებაში. პირველი წრიდანვე წინ გაიჭრა სპორტის ოსტატი ნ. ხელივანოვი, რომელმაც ფინიშამდე პირველობა არავის დაუთმო. გამარჯვებულმა 202,66 კილომეტრი დაფარა 2 საათში, 13 წუთსა და 26,8 წამში, რითაც მეორეჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო სახელი.

ეტლიანი მოტოციკლებით შეჯიბრებაში თავიდანვე დაწინაურდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კულაკოვი, მაგრამ შემდგომ მას გაუსწრო ბ. პოპულოვმა და გამარჯვებაც მას ხვდა წილად.

350 კუბური სანტიმეტრის მანქანებით რბოლაში პირველი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი პ. ბარანოვი, ხოლო 750 კუბური სანტიმეტრის მოტოციკლებით შეჯიბრებაში—სპორტის ოსტატი გ. ფომინი. ქალთა შორის 125 კუბური სანტიმეტრის მანქანებით ჩემპიონი გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ოზოლინა.

• • •

სურათზე: ეტლიანი მოტოციკლეტი დისტანციაზე. მარჯვნივ — რბოლაში გამარჯვებული ნ. ხელივანოვი.

სსრ კავშირის თასზე

სსრ კავშირის თასზე ერთმანეთს შეხვდნენ ხარკოვის „ლოკომოტივი" და უჟგოროდის „სპარტაკის" გუნდები.

შეხვედრა მოიგეს სპარტაკელებმა, ანგარიშით — 3 : 1.

„შრ. რეზერვები" (ლენინგრადი) — „ტორპედო" (მოსკოვი)

6 სექტემბერს სსრ კავშირის პირველობაზე ლენინგრადში ითამაშეს ადგილობრივმა „შრომითმა რეზერვებმა" და მოსკოვის „ტორპედომ" შეხვედრის ანგარიშია — 0 : 0.

საქართველოს პირველობა

5 სექტემბერს ჩატარდა რესპუბლიკის პირველობის მეორე წრის მესამე ტური.

ბორჯომში ადგილობრივმა „სპარტაკმა" თავის მოედანზე მიიღო ხაშურის „ლოკომოტივი". თამაში უფერულად ჩატარდა. პირველ ნახევარში ბორჯომელმა ფეხბურთელებმა გაიტანეს ერთი ბურთი. მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა დამთავრდა ბორჯომელთა გამარჯვებით, ანგარიშით — 2 : 1.

ბათუმის დინამოელებმა თავიანთი მორიგი შეხვედრა ჩაატარეს თბილისში 26 კომისრის სახელობის რაიონის ფეხბურთელებთან. მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე ბათუმის დინამოელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ორი ბურთი და შეხვედრა მოიგეს მშრალი ანგარიშით.

რუსთავში ადგილობრივმა „მეტალურგმა" მიიღო ფოთის ნაკრები. თამაში თავიდანვე სწრაფ ტემპში წარიმართა. შესვენებაზე გუნდები წავიდნენ ანგარიშით 1 : 1. მეორე ნახევარში მასპინძლებმა რამდენიმე ენერგიული და სწრაფი კომბინაცია მეორე გოლით დაამთავრეს. შეჯიბრება მოიგეს რუსთავის ფეხბურთელებმა — 2 : 1.

ფრედ (0 : 0) დამთავრდა შეხვედრა გორში ადგილობრივ „დინამოსა" და მახარაძის „კოლმეურნეს" შორის.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და სოხუმელი თანაკლუბელები. უკვე მესამე წუთზე სოხუმელთა მეკარემ აკრობატული ნახტომით იხსნა კარი აშკარა გოლისაგან. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ.

მეორე ნახევარი მასპინძლების აშკარა უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ სოხუმელთა დაცვამ მათ საშუალება არ მისცა სატურნირო ცხრილში ორი ქულა ჩაეწერათ. შეხვედრის ანგარიშია 0 : 0.

დავნერგოთ ფეხბურთი ჭაბუკთა შორის

ფეხბურთი ახალგაზრდობის საყვარელი თამაშია. ათასობით ბავშვი და მოზარდი გატაცებით ეუფლება სპორტის ამ მიმზიდველ სახეობას. ბევრი მათგანი ოცნებობს გახდეს სახელოვანი ფეხბურთელი. მაგრამ ფეხბურთით გატაცება ზოგჯერ ხელს უშლის მოსწავლეს სწავლაში. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენს სკოლებში ფეხბურთს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ბევრი სკოლის დირექტორს ზედმეტად მიაჩნია ფეხბურთის მოყვარულ ბავშვთა ნორმალური, სისტემატური ვარჯიშის ორგანიზაცია. სკოლებში სულ ადვილად შეიძლება ფეხბურთი გადავაქციოთ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად თუ მას უხელმძღვანელებენ ფიზკულტურის გამოცდილი მასწავლებლები ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

ჩვენი ახალგაზრდობის გატაცება ფეხბურთით უნდა წარიმართოს სწორ გზაზე. ესაა დღეს ჩვენი გადაუდებელი ამოცანა. ამისათვის კი საჭიროა სკოლებში ჩამოყალიბდეს სექციები, რომლებიც დიდ წვლილს შეიტანენ ბავშვთა შორის ფეხბურთის პოპულარიზაციის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა ფეხბურთის შესახებ ბევრი დაწერილა და ბევრი თქმულა, გადამწყვეტი პრაქტიკული ნაბიჯები დღემდის თითქმის არ ყოფილა გადადგმული. იმისათვის, რომ სათანადო განვითარება ჰპოვოს ფეხბურთმა ადგილებზე, საჭიროა პირველ რიგში მომეცადინეთა მოედნებით უზრუნველყოფა. სკოლებში მარტივი ტიპის მოედნები თითქმის არ არსებობს, ხოლო სტადიონების სიმცირის გამო იგი ბავშვებისათვის მიუწვდომელია. ამიტომ ადგილებზე თითქმის არ ეწყობა ჭაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრებები, რაც აუცილებელია ტყავის ბურთის მომავალ ოსტატთა აღსაზრდელად.

მიმდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკის ნორჩმა ფეხბურთელებმა კარგ წარმატებებს მიაღწიეს. საკავშირო შეჯიბრებებზე საქართველოს „ნორჩმა დინამოელმა" (მწვრთნელი გ. გაგუა) მოიპოვა პირველი ადგილი, ხოლო რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელი ა. კიკნაძე) მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამ წარმატებებისა, უფრო მეტის გაკეთება იქნებოდა შესაძლებელი, რომ ჭაბუკთა ფეხბურთს ჩვენში სათანადო ყურადღება ექცეოდეს.

ნორჩი ფეხბურთელები ოსტატების რეზერვს წარმოადგენენ. თუ რა მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელთა ყოფნას ოსტატთა გუნდებში, კარგად დაგვანახა თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობის მდგომარეობამ. უკანასკნელი წლების მანძილზე დუბლებმა მხოლოდ ერთი კვალიფიციური ფეხბურთელი მისცეს ძირითად შემადგენლობას. ეს იყო კოტრიკაძე. თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას არ აქცევდა დუბლშემადგენლობის ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით შევსების საქმეს და, როდესაც ავადმყოფობის გამო ძირითად შემადგენლობას გამოაკლდა რამოდენიმე ოსტატი, მისი სრულფასოვანი შემცვლელის პოვნა მეტად გაძნელდა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადაწყვიტა მოაწყოს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება გაზეთ „ლელოს" სპეციალურ ჯილდოზე. ამ პირველობაში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის სამი ნაკრები გუნდი, მათ შორის საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილე გუნდი. „ნორჩი დინამოელის" ორი გუნდი და მათ შორის საკავშირო თასის მფლობელი. აგრეთვე ორი კოლექტივი 35-ე სკოლიდან და ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებული ზუგდიდის გუნდი (მეორე ჯგუფი).

გათამაშება დაიწყება 12 სექტემბერს „დინამოს" სტადიონზე. შეჯიბრებაში მონაწილე რვა გუნდი დაყოფილ იქნება ორ ქვეჯგუფად. თამაშები მოეწყობა წრიული სისტემით, ერთ წრედ. ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს — 19 სექტემბერს გაიმართება ფინალური თამაში, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულს და გარდამავალი ჯილდოს მფლობელს.

კომიტეტის მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელიც შეარჩევს განსაკუთრებით ნიჭიერ ფეხბურთელებს თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობისათვის და აგრეთვე ახლად ჩამოყალიბებულ ახალგაზრდობის სპორტული სკოლისათვის.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის მოზიდულ იქნება ნიჭიერი ჭაბუკები ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონებიდან. მათ შორის არიან: გ. კასრაძე (სტალინირი), ზ. ტარბა (სოხუმიდან), გ. წერეთელი (ქუთაისიდან) ა. კვაჭაძე (ბათუმიდან), გ. ბლიაძე და ლ. ლებანიძე (ჭიათურიდან), ნ. პარჯველაძე (ბორჯომიდან), ს. ჯინჭარაძე (გუდაუთიდან), ს. ლეკიშვილი, გ. ჩოხელი, რ. სუკიასოვი (თელავიდან), მ. გორდელაძე (მახარაძიდან), დ. ხეცურიანი (ბოლნისიდან) და სხვ.

დ. ცომაია,
საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში.

ᲓᲘᲚᲘᲡ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡ ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲣᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ

◆

გ. მღებრიშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

◆

ვიდრე ჩვენი საუბრის თემას — დილის ვარჯიშის ჰიგიენურ მნიშვნელობას შევეხებოდეთ, ერთი რამ კარგად უნდა გვახსოვდეს: სახელდობრ ის, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მისადმი თვალყურის დევნების ჩვევის გამომუშავება, სხეულის, კანის მოვლა, ბავშვობიდანვე ორგანიზმის გამოწრთობა და მისი ფუნქციის გაუმჯობესება — სრულყოფა სიცოცხლის გახანგრძლივების საწინდარია.

ამიტომ სავსებით გასაგებია რომ ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ორგანიზმის გამოწრთობისათვის ზრუნვა, გარემოს მავნედ მოქმედ ფაქტორებისადმი წინააღმდეგობის გამომუშავება, ყოველი საბჭოთა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი და გადაუდებელი ამოცანაა.

ამისათვის ჩვენში ყოველგვარი პირობაა შექმნილი. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მთავრობა ისეთი სიყვარულით არ ზრუნავს ხალხის გაჯანსაღებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, როგორც ჩვენში

ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის მიზანია აღზარდოს ჯანსაღი, მხნე, სიცოცხლით სავსე და ხალისიანი თაობა.

ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ორგანიზმის გამოწრთობისათვის მოწოდებულ სხვადასხვა საშუალებათა შორის, დილის ვარჯიშს ანუ როგორც მას ჩვეულებრივად უწოდებენ დილის ჰიგიენურ ტანვარჯიშს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ყოველდღიური რეგულარული დილის ვარჯიში ავითარებს კუნთოვან სისტემას, კუნთები კანქვეშ რელიეფურად და უფრო მკვეთრად გამოირჩევა; ხელს უწყობს სახსრების მოძრაობის ადვილად და უფრო მეტი მოცულობით შესრულებას, ხერხემლის მოქნილობას და გულმკერდის განვითარებას. ამასთან ტანს ეძლევა ლამაზი შემოხაზულობა და მოქნილობა, თვით მოვარჯიშე ეუფლება თავის სხეულს და იძენს ტანის სწორად დაჭერის ჩვევას. იმ შემთხვევაში კი, თუ ფიზიკური ვარჯიში ბავშვობიდანვე თანაბრად მოიცავს სხეულის ყველა კუნთს, მივიღებთ სწორი აღნაგობის, ლამაზ და პროპორციულად განვითარებულ სხეულს.

ცივი წყლის პროცედურის გამოყენება (სველი ხელით ან დასველებული ტილოთი ტანის დაზელა, წყლის გადავლება, შხაპი და სხვ.), რომელიც თან ახლავს ხოლმე დილის ჰიგიენურ ვარჯიშს, იწვევს ორგანიზმის გამოწრთობას.

ფიზიკური განვითარებისა და გამოწრთობის გარდა, კუნთების სისტემატური ვარჯიში ამაგრებს და აძლიერებს აგრეთვე შინაგანი ორგანოების და პირველ რიგში გულის, ფილტვებისა და ნერვული სისტემის ფუნქციას.

ზემოთქმულიდან გასაგებია, რომ დილის ვარჯიში ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას და სწორედ ამიტომ უწოდებენ მას დილის ჰიგიენურ ვარჯიშს.

დილის ჰიგიენური ვარჯიში წარმოადგენს ფიზიკურ ვარჯიშთა მცირე კომპლექსს, რომელიც სრულდება უშუალოდ ძილის შემდეგ 10-15 წუთის განმავლობაში ინდივიდუალური წესით და რადიოთი გადმოცემული ვარჯიშის სახით.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი და გასაგები იყოს დილის ჰიგიენური ვარჯიშის მიზანი და მნიშვნელობა, მოკლედ გავეცნოთ იმ მდგომარეობას, რასაც განიცდის ორგანიზმი ძილის დროს და რომელშიც იმყოფება იგი უშუალოდ გაღვიძების შემდეგ.

ძილის დროს ორგანიზმი ისვენებს და ამ დროს მისი ყველა სახის ფიზიოლოგიური პროცესები ნელდება, რაც იწვევს ორგანიზმის უმნიშვნელოვანესი ფუნქციების შეცვლას.

მაგალითად, სუნთქვა ხდება ნელი, იშვიათდება და ღრმავდება, სუნთქვის სიხშირე მცირდება წუთში 10-12-მდე, ნაცვლად 16-18-სა სიფხიზლეში; სისხლის მიმოქცევა ნელდება, გულის კუნთის შეკუმშვა იშვიათდება, სისხლის წნევა მცირდება, ჩონჩხის კუნთების ტონუსი დუნდება, ნერვული სისტემის ვეგეტაციური ცენტრობის აღგზნებადობა მცირდება, კანის სისხლის მილები ფართოვდება, ნივთიერებათა ცვლა ქვეითდება.

ძილის დროს ორგანიზმი მთლიანად ერთგვარ დამუხრუჭებულ მდგომარეობაშია და ფუნქციურად შეკავებას განიცდის, მისი ბიოლოგიური ტონუსი დაქვეითებულია. ეს არის ფიზიოლოგიური მოვლენა, რადგან ძილი და ძილის დროს ყველა ფიზიოლოგიური პროცესის შენელება და ამ გზით ორგანიზმის დასვენება აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა.

ამგვარად, გასაგებია, რომ დილით, უშუალოდ გაღვიძების შემდეგ, მოდუნებულ ორგანიზმს არ ძალუძს სწრაფად ჩაერთოს მუშაობაში მთლიანი დატვირთვით. ამიტომაა, რომ ძილის შემდეგ ადამიანი გარკვეულ დრომდე მოდუნებულია, მისი შრომისუნარიანობა დაქვეითებულია.

დილის ვარჯიშის მიზანია დააჩქაროს ძილის მდგომარეობიდან სიფხიზლის მდგომარეობაში ორგანიზმის გადასვლა. მოამზადოს ორგანიზმი ჩვეულებრივი ყოველდღიური მუშაობისათვის და მაქსიმალურად შეამციროს მუშაობაში ჩართვისათვის საჭირო დრო.

დილის ჰიგიენურ ვარჯიშს ჩქარა გამოყავს ორგანიზმი მოდუნებული მდგომარეობიდან, ხელს უწყობს მისი საერთო ბიოლოგიური ტონუსის ამაღლებას, ქმედუნარიანობის სწრაფად აღდგენასა და გაძლიერებას.

კუნთური მოძრაობა, მოძრაობით გამოწვეული ღრმა სუნთქვა, ორგანიზმის მოთხოვნილებათა შესატყვისად აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, ნივთიერებათა ცვლას და ხელს უწყობს ქსოვილებში ყოველგვარი შეგუბებითი მოვლენების გაქრობას. ამასთან, შეკავების, ორგანიზმის მოდუნების გაქრობა იწვევს სიმხნევის სუბიექტურ შეგრძნობას და ორგანიზმის გადაყვანას შრომისუნარიანობის მდგომარეობაში.

ამრიგად, დილის ჰიგიენური ვარჯიში ორგანიზმს სძენს ენერგიას მთელი დღისათვის.

ᲛᲐᲗᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

პატრიოტული შრომაა გაჩაღებული დედაქალაქის „ნაუკის“ სტადიონის მშენებლობაზე. თბილისის მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდებს თავიანთი შრომით წვლილი შეაქვთ მშენებლობის სწრაფად დამთავრებაში.

◆

— ჩვენი წვლილი შევიტანოთ დედაქალაქის „ნაუკის“ სტადიონის მშენებლობის დაჩქარებაში, — ასე მიმართა ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტებს დირექტორმა კ. ბიბილურმა. სტუდენტებმა ერთხმად განაცხადეს თანხმობა.

— კურსების მიხედვით წავიდეთ სამუშაოდ. — შეიტანა წინადადება ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა რ. ნახუცრიშვილმა. ეს აზრი ყველამ მოიწონა. გადაწყდა პირველკურსელებს დაეწყოთ.

სტუდენტთა კოლონამ სიმღერით ჩაუარა გვერდი ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალ კორპუსს და მათ წინ სამუშაო სარბიელი გადაიშალა.

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, მაგრამ იცოდეთ, პირველები არა ხართ. აქ თავიანთი ვალი უკვე მოიხადეს 35-ე სკოლის მოსწავლეებმა. — უთხრა მოსულებს სამუშაოთა მწარმოებელმა კ. არობელიძემ.

— გული არ გვწყდება, ჩვენი გასაკეთებელი მაინც დარჩებოდა — მხიარულად მიუგეს ტექნიკუმელებმა და იარაღები გაინაწილეს.

ფიზკულტურის ტექნიკუმის ასამდე მკლავმაგარი სტუდენტი 6 ბრიგადად განაწილდა, ყველას თავისი საქმე მიუჩინეს. ამ დღეს ისინი სტადიონის სარწყავ მოწყობილობათა გაყვანილობისათვის ამზადებდნენ ნიადაგს. გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებსა და ცალკეულ სტუდენტებს შორის.

გაჩაღდა ხალისიანი მუშაობა, ახმაურდა წერაქვები. მიწაში ღრმად ეფლობოდა ნიჩბები, თანდათან გრძელდებოდა და ღრმავდებოდა თხრილები.

საჩხერელმა რ. მაჭავარიანმა შეჯიბრებაში გამოიწვია წითელწყაროელი გ. რობიტაშვილი. საქართველოს ამ ორი კუთხის წარმომადგენელმა შრომის ცეცხლი დაანთეს თავიანთ გარშემო. მათ არც მცხეთელი გ. მეზვრიშვილი, ახმეტელი ზ. ქუშანაშვილი, დუშეთელი ლ. ოქრუაშვილი, გ. გიზაევი, ა. თვაური, შ. ბიჭიაშვილი, ვ. მაისურაძე და სხვები ჩამორჩნენ.

ტექნიკუმის დირექტორმა ბრიგადებს ჩამოუარა, შეამოწმა მათი მუშაობის ხარისხი და შენიშნა:

— როგორც ვატყობ, სულ თქვენ გინდათ ამ სამუშაოების შესრულება, უფროსკურსელებს არაფერს უტოვებთ? — ახალგაზრდებმა უფროსის სიტყვებს საქმით უპასუხეს.

დამთავრდა სამუშაო დრო. სამუშაო დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულა გ. ალექსიძის ბრიგადამ. ეს იყო ტექნიკუმელთა პირველი წვლილი სტადიონის მშენებლობაში.

ვ. ჯუჯიტაშვილი,

* * *

სურათზე: ტექნიკუმელები მშენებლობაზე.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

კიშინიოვში მოეწყო საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება წყალბურთში ჭაბუკთა შორის. ეს შეჯიბრება მოეწყო ორ წრედ. ჯერ გათამაშდა წინასწარი შეხვედრები, ხოლო შემდეგ—ფინალი. თბილისელმა ჭაბუკებმა წინასწარ თამაშებში დაამარცხეს მინსკის წყალბურთელები 13:0, რიგის გუნდი 10:0, ლვოვის წარმომადგენლები — 9:2 და თავიანთ ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ. ფინალში თბილისის გუნდი პირველობისათვის იბრძოდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის წყალბურთელებთან ერთად. მოსკოვის გუნდთან თბილისელებმა წააგეს შეხვედრა 4:7, მაგრამ შემდეგი მატჩი მათ მოიგეს კიევთან—ანგარიშით 5:3. უკანასკნელ შეხვედრაში თბილისელები დამარცხდნენ ლენინგრადის გუნდთან — 1:3. და დაიკავეს საერთო მესამე ადგილი.

ახალი გზით შხელდაზე

ჯერ კიდევ გასულ წელს, როდესაც ალპინისტი კოტე ასტახიშვილი შხელდის მიდამოებში საწვრთნელ ასვლებს აწყობდა, დაინტერესდა ამ მწვერვალის სამხრეთის კედლით. შეჰყურებდა მის ჩაშავებულ, ციცაბო ფერდობებს და თავისთვის ბუტბუტებდა:

— აი ასე, ამ გზით... აქ შეიძლება ბანაკი დაიდგას, აქ ღამის გასათევი ადგილია...

ალპინისტი ახალ გზას ეძებდა ამ ძნელად სავალი მწვერვალისაკენ. მიაგნო კიდეც, დაზვერა, უბის წიგნაკში მრავალი დეტალი ჩაიწერა...

მიმდინარე წელს ალპური კლუბის პრეზიდიუმმა დასტური მისცა ასტახიშვილს შხელდის ახალი გზით დაპყრობაზე. მან, გასულ წელს, მასთან შხელდის მიდამოებში ნამყოფი ახალგაზრდები შეკრიბა. ესენი იყვნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულები პირველთანრიგოსანი ვალერიან ფოფხაძე, გიორგი დევიძე, ნოდარ კანკავა და გიორგი ბარბაქაძე.

10 ივლისს ჯგუფმა სვანეთისაკენ აიღო მიმართულება. 26 ივლისს კი ალპინისტებმა ზღვის დონიდან 2.800 მეტრის სიმაღლეზე პირველი ბანაკი დასცეს. შემდეგ იგი 3.700 მეტრზე გადაიტანეს. აქედან უნდა დაწყებულიყო შხელდის შტურმი. მზიანი ამინდი იყო. ჯგუფი გავიდა ბანაკიდან. წინალამით აღმოსავლეთის ქარი განუწყვეტლივ უბერავდა და მოიერიშეებს უფსკრულში გადაგდებას ემუქრებოდა. შემდეგ ქარი ჩადგა, ყველამ შვებით ამოისუნთქა. ასტახიშვილმა კარავიდან თავი გამოყო და ხმამაღლა დაიყვირა:

თოვლი!

გარეთ თოვდა. ციდან განუწყვეტლივ ცვივოდა ვეებერთელა თეთრი ფანტელები. არე-მარე თეთრ საბანში იყო გახვეული. აი ახლა წინალამით მოსულ ახალ თოვლზე მიაბიჯებენ ალპინისტები. მიდიან დინჯად, აუჩქარებლივ, ფეხქვეშ ახალ თოვლს ხრაშახრუში გააქვს. გაუთავებლად მოეჩვენათ თოვლიანი გზა.

— სდექ! წამოიძახა მოწინავემ, როდესაც კედლის ძირს მიაღწია.

— დაისვენეთ. — გასცა განკარგულება ასტახიშვილმა. აქედან იწყებოდა გზის ყველაზე ძნელი მონაკვეთი — შხელდის სამხრეთის კედელი. შესვენების შემდეგ ჯგუფი შეუდგა ცოცვას. გზად ხვდებოდათ შვეული კედლებიც, ზოგან კი ჩამოჯდომა და დასვენებაც შეიძლებოდა. ძნელსავალ ადგილებში იყენებდნენ პალოებს. სამარისებურ სიჩუმეში ყრუდ ისმოდა ნაპრალში პალოს ჩასობის ხმაური. ექვსნახევარი საათი ებრძოდნენ პირქუშ კედელს და ბოლოს გაისმა დაწინაურებული ფოფხაძის მხიარული შეძახილი:

— მწვერვალი!

მათ წინ გადაიშალა კავკასიონის მთაგრეხილის შესანიშნავი პანორამა. იქვე სახელდახელოდ აგებულ ნიშში ნახეს ალპინისტ სოლოდუევის ჯგუფის წერილი. მათ გაუკეთებიათ შხელდის ტრავერსი აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე. ტრავერსი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლის თავს მიუძღვენითო — ეწერა წერილში.

ალპინისტებმა ნიშში საპასუხო წერილი ჩადეს, დაისვენეს და იმავე გზით დაიწყეს დაშვება. გათავდა კედელი და დაღამდა კიდეც. ისეთი სიბნელე ჩამოწვა, რომ ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლებოდა, თანაც დაიწყო ქვის ცვენა. ზევიდან მოსხლეტილი ქვები ხრიალით ინთქებოდა უკუნეთში.

— ღამე აქ უნდა გავათენოთ! — მოკლედ მოჭრა ხელმძღვანელმა და ყველა უსიტყვოდ დათანხმდა. მაგრამ როგორ უნდა გაეთიათ ღამე? არც კარავი ჰქონდათ თან, არც საძილე ტომრები. აი, ხუთი კაცი გამოშვერილ ქიმის ძირში ჩაჯდა და მოთმინებით დაუწყეს ლოდინი განთიადს. კბილების ძაგძაგით ყვებოდნენ საინტერესო ამბებს, ერთმანეთს მუჯლუგუნებს თავაზობდნენ, რომ არ ჩაძინებოდათ, მღეროდნენ...

ინათა!

ალპინისტები ძირითადი ბანაკისაკენ დაეშვნენ.

მიზანი მიღწეული იყო.

ირ. ფაილოძე.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებისა — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ № 14. უე 15416